I შეტყობინება, 12 თებერვალი

საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის I ყოველწლიური კონფერენცია

ძვირფასო კოლეგებო,

მოგეხსენებათ, რომ გადაწყვეტილია საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის I კონფერენციის ჩატარება 2010 წლის 12-19 სექტემბერს ქ. ბათუმში, შოთა რუსთაველის უნივერსიტეტის შენობაში.

დაგეგმილია, რომ კონფერენციის ფარგლებში იმუშაოს ვორქშოპებმა, სექციებმა, სემინარებმა და სკოლამ. დღევანდელი მონაცემებით იმუშავებს შემდეგი ვორქშოპები:

1. ალგებრული ტოპოლოგია
2. ფუნქციათა ტეორია
3. უწყვეტ ტანთა მექანიკა
4. კერძოწარმოებულიანი დიფერენციალური განტოლებები და მათი გამოყენებები
5. მათემატიკური მოდელირება და რიცხვითი ანალიზი

დაგეგმილია მოხსენებათა თეზისების გამოქვეყნება კონფერენციის კრებულში.

საორგანიზაციო კომიტეტი მუშაობს, რათა მოიპოვოს დამატებითი თანხები იმ მონაწილეთა დასაფინანსებლად, ვისაც არ გააჩნიათ სამივლინებო თანხები. ასეთმა მონაწილეებმა უნდა მოგვმართონ განცხადებით. თუმცა იმის გარანტიას, რომ მხარდაჭერა აუცილებლად იქნება, ვერ ვიძლევით.

გაცნობებთ, რომ **სარეგისტრაციო შესატანი საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის წევრებისათვის (რომელთაც გადახდილი აქვთ ბოლო 3 წლის საწევრო შესატანები, 2010 წლის საწევრო შესატანის ჩათვლით) იქნება 40 ლარი 15 ივლისამდე და 50 ლარი 15 ივლისის შემდეგ,** ხოლო მათთვის ვინც არ არის კავშირის წევრი, სარეგისტრაციო შესატანი იქნება როგორც უცხოელი მონაწილისათვის, **120 ევროს ექვივალენტი.** ზოგიერთ მონაწილეს, მისი პირადი განცხადების საფუძველზე და სპეციალური განხილვის შედგად, გაეწევა შეღავათები შესაძლებელობის ფარგლებში.

ვისაც აქვს სურვილი, გაუკეთოს ორგანიზაცია ვორქშოპს, სექციას, სემინარს ან სკოლას, გთხოვთ მოგვმართოთ განაცხადით 31 აპრილამდე (დასახელება, თემატიკა, სავარაუდო მონაწილეთა სია). 15 ივლისასათვის უნდა იყოს მიღებული ყველა მონაწილის თანხმობა.

პროგრამაში გათვალისწინებულია ექსკურსიის მოწყობა ბათუმის შემოგარენში.

კონფერენციაზე პრე-რეგისტრაცია შესაძლებელია წერილის გამოგზავნით შემდეგ ელექტრონულ მისამართებზე:

GeorgianMU@gmail.com ან **GMU@rmi.acnet.ge**

წერილი უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

1. გვარს, სახელს
2. სამუშაო ადგილის მისამართს
3. e-mail-ს, ტელეფონის და ფაქსის ნომრებს
4. მოხსენების სათაურს.

ზოგიერთი მნიშვნელოვანი თარიღი:

31 აპრილამდე - განაცხადი ვორქშოპების, სექციების, სემინარების და სკოლების ორგანიზებაზე.

1 სექტემბრამდე - რეგისტრაციის ფორმების გამოგზავნა, დასაწყისისთვის ელექტრონული ფოსტის გამოყენებით, მოგვიანებით შესაძლებელი იქნება ელექტრონულად დარეგისტრირება მისამართზე:

http://rmi.acnet.ge/~gmu/GMU_Conference.

15 აგვისტომდე - მოხსენებათა თეზისების წარდგენა. მოხსენებათა თეზისები უნდა მომზადდეს LaTeX პროგრამის გამოყენებით, მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 1 გვერდს. ნიმუშებს მიიღებთ მე-2 ინფორმაციასთან ერთად და ეს ნიმუშები ჩაიდება ინტერნეტში, მისამართზე:

http://rmi.acnet.ge/~gmu/GMU_Conference.

15 ივლისი - საკონფერენციო შესატანი 40 ლარი (120 ევრო ვინც არ არის სმკ-ს წევრი). 15 ივლისის შემდეგ საკონფერენციო შესატანი იქნება 50 ლარი (შესაბამისად, 150 ევრო).

თუ ვინმეს გააჩნია სურვილი მოიწვიოს უცხოელი კოლეგა, გთხოვთ, მოგვმართოთ სასწრაფოდ, რათა გავუგზავნოთ შესაბამისი წერილი. მსურველებს შეუძლიათ პირველი ინფორმაცია თვითონ გაუგზავნონ უცხოელ კოლეგებს. შესაბამისი წერილი ინგლისურ ენაზე განთავსებულია მისამართზე

http://rmi.acnet.ge/~gmu/ E_index.htm

ჩვენი თხოვნაა დროულად მოგვაწოდოთ ინფორმაცია უცხოელ კოლეგის მოწვევის თაობაზე.

ოპერატიული ინფორმაციის მისაღებად კონფერენციის თაობაზე მიმართეთ კავშირის WEB-გვერდს

http://rmi.acnet.ge/~gmu/

და კონფერენციის სპეციალურ WEB-გვერდს

http://rmi.acnet.ge/~gmu/ GMU_Conference_G

საორგანიზაციო კომიტეტის სახელით

როლანდ დუდუჩავა
საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის პრეზიდენტი